ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 13 მაისი № 1463

ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ. ...ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.**

...ენი მოქმედების სახელმძღვანელო დედა-აზრი

I

...კითხველს გაუკვირდება ეს რაღაც „სახელ-...ვანელო დედა-აზრის“ შესახებ ლაპარაკი ...ში, სადაც არც პოლიტიკური დასები არ-...ობენ და არც საზოგადოებრივი თვით-ცნო-...რებაა იმდენად განვითარებული, რომ გა-...სახებოდეს მოქმედების ამა თუ იმ გეგმის ...შავებით. თუ ჩვენ „პროგრამების“ შე-...ბ დავიწყეთ ლაპარაკი, ეგ მხოლოდ იმ ...ზრახვით, რომ მივაქციოთ მკითხველის ...ადღება იმ გარემოებაზე, რომ, რაც ...და დაქვეითებული იყოს საზოგადოება, ... უნდა ჰქონდეს სრული და მიუდგომე-... წარმოდგენა თავის ცხოვრებისა, მისი ...ების მოქმედება უნდა იყოს აწონ-...ონილი, გამოანგარიშებული ცხოვრების ...ოვნილებათა შესაფერად. ჩვენს მოქმე-...ას აზრი და მიზანი უნდა ჰქონდეს. სა-...ოა ნათლად და გარკვევით გვესმოდეს ...ნი მდგომარეობა, და თუ ყველა ამას და-...ირდებით, ჩვენ ადვილად მივალთ იმ ...ამდისაც, რომ ჩვენც გვესაჭიროება ...ვრების შესაფერი რაიმე „სახელ-...ვანელო“. რასაკვირველია, ის, რასაც ... მოქმედების გეგმას უწოდებთ, არც ...ი სრული აზრის გამომხატველია და ...ც მრავალგვარ ჩვენი ხალხის საჭიროე-...ბ. ჩვენ გვსურს რაიმე სისტემით ხელ-...ვანელობა, რათა ჩვენს აზრებს და-...ს მოქმედებას რიგი და წყობა ეტყობ-...ეს. დროა უგზო-უკვლო სიარულს თავი ...ანებოთ და რაიმე მტკიცე ნიადაგს და-...ვეთ.

...როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების ...ისარკვევი „სახელმძღვანელო“ დედა-...ი? რა უნდა ედვას მას საფუძვლად? ...ე ერთად ერთი პასუხია: ჩვენ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ყოველი ის, რაც შეადგენს ერის ნორმალურ ცხოვრებას და ურომლისოდაც ამ ცხოვრების წინსვლა შეუძლებელია.

ჩვენ ერთხელ საბოლოოდ უნდა გადავწყვიტოდ, გვინდა თუ არა ჩვენი სამშობლო ენა, თუ უიმისოდაც იოლად წავალთ? აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ, რა მიმართულებას უნდა ადგეს ჩვენი ლიტერატურა და საზოგადოთ ხელოვნება? უნდა გავიგოთ და გვესმოდეს ქართულ ეკკლესიის მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრების წარმატებისათვის. ყველაზე ნათლად და ცხადად კი ის უნდა შევიგნოდ, რომ ჩვენი ცხოვრების ნიშან-წყალი ჩვენი ეროვნების ჩამორჩენაა, რის გამოც უნდა განვსაზღვროთ ის, თუ რა ურთიერთობა აქვს ქართველობას სხვა ხალხებთან როგორც საზოგადოებრივ მოედანზე, აგრეთვე ეკონომიურ განწყობილებაში? ყველა ამ კითხვების ჯეროვანი განმარტება შეადგენს დედა-აზრს ჩვენი მოქმედების გეგმისას.

ბევრ ფრაზებს ლაპარაკობენ ჩვენში ქართულ ენის შესახებ. ყველანი იმას სჩივიან: ენა გვეკარგება. სკოლებიდან და საზოგადო დაწესებულებიდან განდევნილიაო იგი; საჭიროა მთავრობის ყურადღება მივაქციოთ ამ საგანზე, იქნებ გვეშველოს რამეო და სხვა, საკვირველია, კაცის ბუნება იმ გვარადაა მოწყობილი, რომ თავისი შეცდომა და დანაშაულობა სხვას თუ არ დააბრალა, ვერ მოისვენებს. ჩვენც სწორედ ეს გვემართება. რასაკვირველია, სკოლებში რომ ქართულს არ გვასწავლიან და საზოგადო დაწესებულებაში რომ არა ხმარობენ ჩვენ ენას, ყველა ამას დიდი ზიანი მოაქვს ჩვენთვის, ცოტა არ იყოს გვავიწყებინებს დედა-ენას. მხოლოდ, თუ ჩვენ მართლა გვესმის სამშობლო ენის საჭიროება, რატომ არა ვხმარობთ მას შინ, ოჯახში, გარედ სხვა-და-სხვა ქართულ დაწესებულებაში, **სადაც ქართული ენის ხმარება კანონით არ არის აღკრძალული?** ქართული ენა იკარგებაო. დიაღაც დაიკარგება. რომელი ენა გაუძლებდა ამ გვარ ძალმომრეობას? რატომ არა ვსარგებლობთ ჩვენ იმ კანონის შეღავათით, რომლის ძალითაც ჩვენ გვაქს ნება ჩვენი საქმეები ჩვენს კრებაზე ქართულად ვაწარმოოთ? განა თავად-აზნაურობის (წარსულ) საგანგებო კრებაზე წამლად ერთი ქართული სიტყვა წარმოითქვა? ქართული ენა არ ვიცითო. მაშ რომელი ენა ვიცით? იქმება ჩვენი ორატორების რუსულ მჭერმეტყველობა მართლა რუსული ენის ცოდნათ ჩაითვლება? მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს იმ „საგანგებო“ კრებაზე დამსწრეთ ქართული უფრო ეხერხებათ. რატომ არა ხმარობენ ისინი ამ ენას? ან იქნება ქართული ენის ხმარება იმ დაწესებულებაში, სადაც **კანონი** ხელს არ გვიშლის, რაღაცა უკანონიეროდ, „ბუნტად“ მიგვაჩნია? რითი უნდა დავასაბუთოთ ჩვენი მთავრობის წინაშე თხოვნა სკოლებში ქართულ ენის შემოღების შესახებ? განა არ ექნება საბუთი მთავრობას გვითხრას, რომ ქართულ ენის შემოღება თქვენი, ქართველების ტანჯვა-ვაებად შეიქმნება, რათა თქვენს ცხოვრებაში, სოფელში თუ ქალაქში, ოჯახში თუ საზოგადო კრებაზე რუსულსაც კარგად ხმარობთო? და ვაძლევთ-რა ამ მოსაზრებას საფუძველს ჩვენი დაუდევრობით და უზრუნველობით, ქართულ ენის ბედ-იღბალს ჩვენვე ვსწყვეტთ. მხოლოდ ვიდრე ამ კითხვას საბოლოოდ გადავსწყვეტდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ის საყურადღებო გარემოება, რომ ხალხის ჯეროვანი განათლება, სასამართლოებში სინდისიერი და სამართლიანი საქმეების წარმოება და ბევრი სხვა ნამდვილი ერის მოთხოვნილებანი არა მშობლიური ენით დაკმაყოფილებულ ვერ იქმნებიან. ხალხის დაქვეითება ნივთიერ მოწყობილობის გარდა გაუნათლებლობითაც არის გამოწვეული. განათლება კი და ცოდნის შეძენა დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი.

ჩვენი მოწინავე დასი, შედარებით, იოლად მიდის სამშობლო ენის უცოდინარობით მან ავად თუ კარგად შეითვისა უცხო ენა, რომელიც აძლევს მას საშუალებას თავის-თავის რჩენისას სამსახურით თუ საზოგადო მოღვაწეობით. ხალხის აღზრდა-განათლებაზე, უნდა ვსთქვათ, მაინცა და მაინც იგი არა ზრუნავს. და როცა ენის დაკარგვაზე ჩივილს იწყებს, ეგ ჩივილი რაღაც გულუწრფელ პატრიოტობად მიგვაჩნია. და თუ მართლა შეგვტკივა გული ხალხისათვის, ჩვენ იმას ენას ვერ დაუკარგავთ, ჩვენ შემოვიტანთ მას ქართულ ოჯახში, ჩვენ დავამყარებთ მას ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე. მხოლოდ ამ გზით დავამწიფებთ და გავაძლიერებთ ჩვენს სამშობლო ენის საჭიროების კითხვას და მხოლოდ ამის შემდეგ გვექმნება საფუძველი მთავრობასაც მივმართოთ ამ ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. აი სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს სამშობლო ენის კითხვის განმარტება ჩვენი ცხოვრების სახელმძღვანელო დედა-აზრის შემუშავებით.

II

ენასთან ვიწროდაა დაკავშირებული ლიტერატურა და ლიტერატურასთან, საზოგადოდ, ხელოვნება-მხატვრობა, ქანდაკობა ...ბ მუსიკა. ხელოვნებას მეცნიერებასთან აქვს ის უპირატესობა, რომ იგი უფრო მისაწვდომია ხალხისათვის, რადგან იმის მოქმედების ასპარეზი ადამიანის გრძნობაა. პოე-

ფელეტონი

ი ს ა ა რ ი

(სკვირაო გაზეთი).

№ 10 კვირა, 13 მაისი 1901

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.“
ი. ჭავჭავაძე

წერილი მეგობართან

...ამ დღეს მწერდი, სოფელში გამოყრუე-...ი ვარ, პოლიტიკის ცაზე რა ამბები ...ბა, დარს მოელიან თუ ავდარს, არა ...ი რაო. ამ ჩვენს გაზეთებში სულ ბუ-...ი და ბურები, სხვა აღარა იბეჭდება-რა! ...ურების ამბებიც ისე აირ-დაირია, რომ ...ი ერთ მართალსაც ვერ გაიგებსო; ჩი-...ა ხომ ილაჯი წაიღო; ერთი ეს შემა-...ბინე, ევროპაში ვითომ რაღაც ცეცხლს ...ვებენო, მართალია თუ არა, შემატყო-...ო“! აბა, ჩემო მეგობარო, რა ჩვენი ...ეა პოლიტიკაზე ლაპარაკი; მართალია ...ბლები ირევა, ქუხილიც ბევრია, მაგ-... წვიმა არსად არის, სეტყვისა ძალიან ...ინთ, ამიტომ ზარბაზნები მომართეს, ...ლიტიკის ცაზე“ შეგროვილს ღრუბ-...ს ყურმბარებს ესვრიან, რომ გაჰფან-... და სეტყვისაგან გადაარჩინონ ქვეყნე-...ს. საწყენად კი ნუ დაგრჩება, რომ ამ ჟა-...ვერ გისრულებ სურვილს პოლიტიკა-ზე ბაასითა; მოდი, დამიჯერე, ეს სხვა დროსათვის გადავდოთ და ეხლა ისევ შინაურს ამბებზე ჩამოვაგდოთ ლაპარაკი.

კარგად აღარ მახსოვს, იმ დღეს ვიღამაც სთქვა, რომ ნეტავი გამოჩენილი მოღვაწეები ხშირ-ხშირად იხოცებოდნენ ხოლმეო, მათი სიკვდილი მიძინებულს ხალხს, მისს მოდუნებულს ძარღვის ცემას აამოძრავებს ხოლმეო; აი, მაგალითად, პოეტის რაფიელის სიკვდილმა მთელი საქართველოს ერი კიდით-კიდემდე გამოაღვიძა, აალაპარაკა, აამოძრავაო. ძალიან უხეირო ნატვრაა! შენი მტერი, ეს ნატვრა რომ შეუსრულდეს იმ გადარეულს მნატვრელს, ერთ წელიწადს დაცარიელდება ჩვენი ქვეყანა! არა, უთუოდ უნდა მოკვდეს კაცი, რომ მოიგონონ მისი ღვაწლი სამშობლო ქვეყნისადმი? რამდენი საზოგადო მოღვაწენი, ღვაწლ შემოსილნი კაცნი გვყვანან, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევთ და თუ მოვასწარით კლანჭსაც გავკრავთ ხოლმე მათ მოღვაწეობას. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ისინი ხელშეუხებელი კერპნი იყვნენ, რომ არ შეიძლებოდეს მათზე სჯა-ბაასი; არა, მე იმის თქმა მინდა, ის მინდა აღვნიშნო, რომ ხანდისხან არა ღირსეულად ვიხსენიებთ ხოლმე.

რაფიელის იუბილეის შემდეგ, რომელიც მას მადლიერმა სამშობლომ 1895 წელში გადაუხადა, ჩვენ აღარ შეგვხვედრია რომელიმე მოღვაწის დღესასწაულის გადახდა. ყველა ჩვენებურს მოღვაწეებზე უფრო ბედნიერი აღმოჩნდა გაბრიელ სუნდუკიანცი, სომეხთა დრამატურგი. ტფილისმა გავლილს აპრილში იდღესასწაულა ოცდა ათი წელიწადი სუნდუკიანცის „პეპოსი“, ე. ი. აპრილში შესრულდა ოცდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად ითამაშეს „პეპო“. გაბრიელ სუნდუკიანცი, როგორც თვითონ მოგვითხრო, დაბადებულა 1825 წელს, 29 ივნისს, ზედ პეტრე-პავლობა დღეს, ანჩხატის უბანში. მას ძარღვებში უტრიალებს მრავალ-ტანჯულ სომეხთა ერის სისხლი, გამშვენიერებული და განწმენდილი საქართველოს დიადის ბუნებითა. ამიტომაც არის, რომ სუნდუკიანცი არ არის განსაკუთრებითი სომეხთა დრამატურგი, იგია, ჩემის აზრით, სომეხ-ქართველთა დრამატურგი; „პეპო“ საზოგადო ტიპია; მისთანა კინტო-ბიჭი, პატიოსანი, თვისის ცხელი ოფლით ლუკმა-პურის მშოვნელი, თვისის ალალი მარჯვენის შემაცქერალი ქართველებშიაც ბევრია და სომხებშიაც; იმისთანა არუთინა, გამდიდრებული „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“, ყველგან მოიპოვება; თუმცა ქართველობაში იშვიათი იყო დღემდის, *მაგრამ დღეს

*) კი აქა-იქ ამოჰყვეს თავი: ეს ხელოვნურად დასურათებული პირები პირმშო შვილები არიან ჩვენის ცხოვრებისა; არუთინები მდიდრდებიან არა მარტო სხვის ბარათების მოპარვით, არამედ, საზოგადოდ, საწყალის ხალხის მოტყუებით; ამითი მდიდრდებოდნენ და მდიდრდებიან არუთინები; საშინელს ზიზღს, წყევლა-კრულვას იწვევს მსმენელსა და მაცქერალში მოქმედება ამ ბაიყუშადამიანებისა, რომელთაც ხელობად გადაუქცევიათ თვისის მოყვასის ტვინის წოვა. ღრმად დააჩნდა გულზე ხალხსა ხელოვნური ნაწარმოები მხცოვნის დრამატურგისა და მადლიერმა ხალხმა, მისის მადლიანის ხელით ოფლ მოწმენდილმა, მადლი უძღვნა თავისს უკვდავს ჭირისუფალსა: მშვიდად და წყნარად იდღესასწაულა ორმა ერმა „პეპოს“ დღესასწაული; სამი საღამო სტკბებოდა სუნდუკიანცი ხალხის აღტაცებითა; „სამი დღე ქორწილი კი გამიგონია და იუბილეი კა არაო“, წარმოსთქვა პატივცემულმა სუნდუკიანცმა. მარტო კეთილის მთესველი, მარტო ერის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ადამიანი გამოიწვევს ხოლმე ერის გულში სიყვარულსა და პატივისცემასა. პატივცემულმა გაბრიელმა მთელი თავისი გრძელ-ჟამიერი სიცოცხლე ხალხის კვნესა-ვარამის, ამ კვნესა-ვარამის მიზეზების დასურათებაში გაატარა; მან თვისის ზურგით ამოზიდა ბნელეთიდამ და გამოამზევა მჩაგვრელთა ვინაობა, მათი მიმართულება, მათი დევიზი ცხოვრებისა, მათი ზნეობის გახრწნილება, მათი უადამიანობა; იგი სცოცხლობდა და სცოცხლობს, აღსავსე ხალხის სიყვარულითა: მისი ჭირი და ლხინი გულით უტარებია; მისს ჭირს გული დაუსე-

ზია, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა სიტ-
ყვების, ფერადების, მარმარილოს და ხმე-
ბის საშუალებით ადამიანის გრძნობა-გონე-
ბას აღვიძებენ. ამისათვის ნამდვილ ხელოვ-
ნებას ყოველთვის აქვს დიდი საზოგადოებ-
რივი მნიშვნელობა. იგი ამთავრებს და სი-
სრულეში მოჰყავს გონიერების მოქმედებას,
იგი აღელვებს ადამიანს, ხშირად აღფრთო-
ვანებს მას და მისი კაცისადმი უფლება გა-
ნუსაზღვრელია. ლიტერატურა და ხელოვ-
ნება საუკეთესო იარაღია იმ გრძნობათა და
აზრთა გაღვიძებისათვის, რაზედაც უნდა
იყოს მიქცეული ჩვენი ყურადღება. ჩვენის
აზრით, ეროვნულ პროგრამის გარკვევას-
თან ერთად უნდა გაირკვეს ჩვენი ხელოვ-
ნების მიმართულებაც, ის, თუ რა კითხვე-
ბი, ერის დამახასიათებელი თვისებებია
წამოყენებული მის წინაშე. ან იქნება
ჩვენი ეროვნული ცხოვრება ვერ მისცემს
შინაარს ჩვენს ლიტერატურას, მხატვრობას,
ქანდაკებას და მუსიკას? ჩვენის აზრით კი,
უნდა მისცეს, რადგან ჩვენს ცხოვრებაში
ყველაფერია, რაც კი საჭიროა ნამდვილ
ხელოვნებისათვის. სიცოცხლე და სიკვდი-
ლი—ორი დიდი პრობლემა, რომელნიც
ყოველთვის აღფრთოვანებდნენ პოეტებს
და მხატვრებს. ჩვენი ცვალებადი, გულუბრ-
ყვილო, მომხიარულე და მომღერალი ერის
ხასიათი მკვიდრად შეეთანხმა ჩვენს მრავალ-
ფეროვან მძლავრ, სიცოცხლით აღსავსე ბუ-
ნებას. ჩვენი ერის დაუღალავობა, მისი სი-
ცოცხლის სურვილი, მიუხედავად სასტიკ
გარემოებათა, მუდმივი განუწყვეტელი ბრძო-
ლა და ბრძოლასთან ერთად ლხინი—განა
ყველა ეს არ წარმოადგენს მდიდარ მასალას
ჩვენის ლიტერატურისა და ხელოვნების გასა-
ცოცხლებლად? მეორის მხრით, სიკვდილი...
გადაგვარების და სიკვდილის აჩრდილი, რო-
მელიც დაგვდევს ჩვენ ფეხ და ფეხ და რო-
მელსაც ჩვენი დაშინებული გონება ვერსად
ვერ გაურბის? ჩვენი ცხოვრება ჩვენის
გოდება-ვაებით შემოდგომის სურათს გვა-
გონებს. დამჭკნარ ყვითელ ფოთლების
ხმაურობა გაისმის თქვენს ფეხქვეშ, გაშიშვ-
ლებული ოდესღაც ამწვანებული სიცოც-
ხლით სავსე ხეები ობლადა დგანან და
უნუგეშოდ არხევენ თავიანთ ტოტებს? სი
კვდილის აჩრდილი ჩვენს სულსა ჰხუთავს,
სასოწარკვეთილებაში აგდებს მას და სასო-
ებას გვიკარგავს. მხოლოდ ჩვენ, როგორც
ჩვენი ბუნება, ჩვენი ხასიათის სიღრმეში
ვპოულობთ ღონეს ტ სიმაგრეს. და როგორც
გაზაფხულის მზიან დღეში არ გვაგონდება

რია და ლხინს სიამოვნებით აუტოკებია
დამწვარი გული და თვალთაგან ნეტარების
ცრემლი გადმოჰხეთქია. და აი მოხუცე-
ბის ჟამს დასტკბა თვისის ნათესის კეთილის
ნაყოფისაგან, იხარა მან, თვალითა თვისი-
თა იხილა მადლობა ხალხისა დაუღალავის
შრომისთვის. მართლა უთქვამს პოეტსა:

„მაშინ იხარებს მწიდნავი
ოდეს მოისთვლის მტევნებსა“-ო.

მეც ამ სიტყვებით გავათავებ პატივცე-
მულ გაბრიელზე საუბარს.

—

ერთს რომ აცინ-ახარებს ის კურთხეული
ღმერთი, ანუ ერთს რომ ბედისაგან ეცინ-
ელხინება, მეორეს სატირალი უჩნდება იმა-
ვე დროსა. აბა, რა გასაცინ-გასალხინებე-
ლი აქვს ტფილისის ან ქუთაისის თვით-
მართველობათა; ტფილისისას, როგორც
მოგეხსენებათ, გუდა-ნაბადი დააბერტყეს
ზედ კისერზედა და მთელი გამგეობა სამარ-
თალში მისცეს; არც ქუთაისისაც დააყარეს
კეთილი და ლოლუას ჩიმაკაძე დაადევნეს
უკანა. ტფილისში თუმცა არღუთინსკი-
დოლგორუკს უკან არავინ გაჰყვა, მაგრამ
ვაი ამისთანა არ გაყოლებასა. დღეს თუ
თავის ნებით არ გაჰყვნენ, ხვალ-ზეგ შეი-
ძლება ძალა უნებურად გააყოლონ და ხომ
მოგეხსენებათ, რომ ძალა აღმართის მხვნე-
ლიაო. არა, ყველა ყველა, მაგრამ ბათუ-
მელ გაზეთს რა ეხარება! ავტორი „Отклики дня“-სი (№ 104 ამ წლის) სიხარულით
ფეხზედ არა დგას, რომ ქუთაისის გამგეო-

ბა უკან მისჩხავის დათხოვნილს ჩიმაკაძესა.
იცით მას რა ახარებს? ის, რომ ქუთაისის
საბჭომ მართლა ისეთი მოუფიქრებლობა
გამოიჩინა, რომ კაცი უარესს ვერ წარმო-
იდგენს. აი ამ ჩერჩეტობას დასცინის ბა-
თუმელი გაზეთი. აბა, დახე ღვთის წყრომა-
სა და! იქნამდე დაქვეითდა ქუთაისი,
რომ მასხარა პალმის გაზეთის ყბად ასაღე-
ბიც გახდა, ისიც კი მას დასცინის. მართა-
ლია, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ
ძალიან დააშავა და ზედ-მეტიც—ძალიან და-
ამლაშა! არა, რაღას მისჩხავი და კალთებ-
ზე ეკიდები იმ კაცსა, რომელიც სამარ-
თალში მისცეს?!. არაო, ამა და ამ „ზაკო-
ნების-კანონების“ ძალითა ჩიმაკაძე დამ-
ნაშავე არ არისო, სასჯელი არ მოელისო.
კარგი და პატიოსანი! ჯერ ეს ბრალდება
ჩამოირეცხოს, მერე თუნდა ოქროს ტახტზე
დააბძანეთ. სწორედ უნდა მოგახსენოთ, ძა-
ლიან სასიამოვნოდ დაგვირჩება ყველასა მი-
სი ოქროს ტახტზე დაჯდომა, მხოლოდ გა-
მართლების შემდეგ. არ მესმის, რა აქვს
ქუთაისის საბჭოს სატირელი?! ქუთაისი ამ-
სებით-ამსებულია განათლებული ახალგაზ-
დობითა; დავიჯერო კაცი არ მოეპოებათ
ჩიმაკაძის სამაგიეროდ!? ძალიან სამწუხაროა
ეს ამბავი!!. მაგრამ მე ისევ ბათუმის გაზეთს
უნდა დავუბრუნდე: ყვავმა ყვავს წასძახა:
„ჰაი, შე ხინჯიანოვო“. შავის ზღვის ნა-
პირის შავს გაზეთს დაავიწყდა თავისი პატ-
რონის ამბები და ეხლა კვლავ ნელ-ნელა
ენას იდგამს სხვის საკილავად და საძრახა-

ვად. მაგრამ იქნება ჰგონია ამ გაზეთის ჯა-
მბაზსა, რომ მან ჩამოირეცხა სახიდამ ის
მური, რომელიც მას ისე უწყალოდ წას-
ცხეს; ნუ თუ მას ის იარა გაუმთელდა! ნუ
ჰგონია, ნუ!! ისეთის წამლებით შეზავებუ-
ლი მური ჩამოუსვეს სახეზე, რომ აღარა-
ფრით აღარ ამოიფხიკება, არ ჩამოირეცხე-
ბა. ასე ძალიან გაუჯდება ხოლმე ადამია-
ნის სხეულს **საზოგადოების ხელით დასმუ-
ლი დამდა**; სამარეშიაც ჩასდევს კაცს ეს
დაღი და სამარეს ქვეშიდან იგი დამღა
ლოდზე ამოკაშკაშდება ხოლმე დასამშვენე-
ბლად მის ქვეშ განსვენებულისა. ამიტომ
არ ვურჩევთ ბათუმელ ჯამბაზსა სხვის ცინ-
ვა-კილვასა.

—

ჩემს კორესპონდენტებს.

ცხინვალელი მოამბე შემამჩივის, რომ
„ევერიაში“ უშველებელი წერილი დავსტა-
მბე სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო ამბებზე,
მაგრამ იგი ჩემი წერილი დარჩა „ხმადმღა-
ლადებელისა უდაბნოსა შინაო“. მე უფრო
ის მაწუხებს, რომ დგვრისის ეკკლესიას ეშ-
მაკები დაეპატრონენ და მსხნელი არა ვინ
არ არისო; ვისაც პირად მივმართე, ხმა-
კრინტი არ დასძრა და ზურგიც მიჩვენაო.
აი კიდევ თელაველი მოამბე შემამწუწუ-
ნებს; გული წაიღო რაღა! „ცნობის ფურ-
ცელში“ დავსტამბე, რომ „თელავის თავში,
აღმოსავლეთის მხრივ, ერთს პატარა გორა-
ზე აშენებულია ეკკლესია სამების სახელო-
ბაზეო; ეკკლესიას დღეობაც სცოდნია აღ-

სავით თავის დამალვა. ზოგიერთი არა
სიამოვნო ნიშნები თხოულობენ განსა-
რებულ სიფრთხილეს, რაკა ერთ მშვენ-
დღეს არ ჩავარდეთ-იეთს-მდგომარეო-
რომელთან შეეთანხმა. [illegible]
ბა. რასაკვირველია, ავსტრ-უნგრეთს
ვილი არა აქვს ტერიტორია შეიძინოს
მესაგან. იმ აგიტატორებს, რომელნიც
ნაალმდეგის დამტკიცებას სცდილობენ
ზრო ლეგენდების გავრცელებით, ჰს
გამოიწვიონ ევროპის საზოგადოებაში
მაყოფილება ავსტრო უნგრეთის წინ
დეგ. ავსტრ-უნგრეთის განსაკუთრ
ყურადღებას იქცევს ამ ჟამად მაკედო
საქმე და მასთან შეკავშირებული ბოლ
თა აგიტაცია. სახელმწიფოებმა არა
ხელ გააფრთხილეს ბოლგარიის მთავ
და არ შეიძლება არ ესაყვედუროს ამ
ვრობას, რომ მისი რბილი ქცევაა მი
ეხლანდელ მდგომარეობისა. თუმცა ამ
ლოს დროს მან ყური ათხოვა სახელ
ფოების რჩევას ტ მიიღო ზომები, რომელ
იმის მაჩვენებელია, რომ ბოლგარიას ჰ
ალაგმოს კომიტეტი, რომელიც გადა
სახელმწიფოდ სახელმწიფოში. მეტად ს
რველი იქნებოდა, რომ ბალგარიის მ
რობის პატიოსანი ქცევა დამთავრდებ
მაკედონიის ვილაიეტის ადმინისტრა
წესწყობილების განკარგებით, რადგან
მალეთის მიერ მიღებული სასტიკი ზ
ვერ დაამშვიდებენ საესებით ამ მხარეს.
წუხაროდ, მაკედონიის მდგომარეობა ს
რველზე შორს არის“.—„სერბიაშიო, ბ
გრძ მინისტრმა, მოელიან ახალ კონ
ტუციისაგან პოლიტიკურ მდგომარეობის
მტკიცებას და ჰსურთ ყოველი ღონ
მარონ სახელმწიფო წესის განსასაღებ
ავსტრ-ჰუნგრეთს შეუძლია მხოლოდ
რვოს ამ სურვილის განხორციელება იმ
დით, რომ სერბია გვერდს აუვლის ყ
მას, რაც დაარღვევს მეგობრულ განწ
ბილებას ავსტრ-ჰუნგრეთთან.

ვენა. უნგრეთის დელეგაცია. უცხო
საქმეების გამსინჯველ კომისიის სხდ
დროს გოლუხოვსკიმ, გაიხსენა რა სხვ
სხვა საკითხები, განაცხადა, რომ ოსმ
თის ფოსტების საკითხი შეიძლება გა
ბულად ჩავთვალოთო. რაც შეეხება რუ
თან შეთანხმებას, „მინისტრმა სთქვა,
პეტერბურგში ოთხი წლის წინად დაწ
ლებითი მოლაპარაკება მოხდაო და გ
რკვა, რომ რუსეთსა და ავსტრ-უნგ
შუა არავითარი ისეთი უთანხმოება არ ა

ვენა. უნგრეთის დელეგაცია. ზოგიერთი
სიამოვნო ნიშნები თხოულობენ
ნაალმდეგის დამტკიცებას
ზრო ლეგენდების
გამოიწვიონ ევროპის
მაყოფილება ავსტრო
დეგ. ავსტრ-უნგრეთის
ყურადღებას იქცევს ამ
საქმე და მასთან შეკავშირებული
თა აგიტაცია. სახელმწ
ხელ გააფრთხილეს ბ
და არ შეიძლება არ ეს
ვრობას, რომ მისი რ
ეხლანდელ მდგომარ
ლოს დროს მან ყ
ფოების რჩევას ტ
იმის მაჩვენებელია,
ალაგმოს კომიტეტ
სახელმწიფოდ სახ
რველი იქნებოდა,
რობის პატიოსანი
მაკედონიის ვილ
წესწყობილების
მალეთის მიერ
ვერ დაამშვიდ
წუხაროდ, მაკ
რველზე შორს
გრძ მინისტრ
ტუციისაგან პ
მტკიცებას
მარონ სახ
ავსტრ-ჰუ
ვოს ამ
დით, რ
ბილ
ვრ
ეხ
ბა.
ბულ
თან
ბა
ბა
ბ
ბ
ბ

ებს, რომლის აცილებაც მშვიდობიანი ლაპარაკებით არ შეიძლებოდესო. ორი- სახელმწიფო საერთოდ ელტვიან იმ ანს, რომ ბალკანეთის სახელმწიფოე- დამოუკიდებლობა დაიცვან. ხო- შინაურ საქმეების გადაწყვეტა კი მათ თონვე მიანდონ და მათ შინაურ საქმეე- არავითარი გავლენა არ იქონიონ. მი- ტრს უკვირს, თუ დელეგატი არკოვსკი ელოდა, რომ მინისტრი თავის სიტ- ში მოიხსენიებდა საფრანგეთ-იტალიის ოტების შეხვედრას ტულონში. ამისთანა ვედრა რომ ავსტრ-უნგრეთის მინის- თავის პოლიტიკურ სიტყვაში განე- ა, ეს მეტის მეტად უადგილო იქნე- და. მინისტრი მრავალ ჯერ იმეორებს, ის სამთა კავშირს თავის პოლიტიკის ერყეველ საფუძვლადა სთვლის, ხოლო კავშირთან ერთად ავსტრ-უნგრეთს სახელმწიფოებთანაც რაც შეიძლება ული თანხმობა უნდა ჰქონდეს. მაგა- თად, რამდენიმე ხანია, რაც ავსტრო- გრეთი მეტად დაუმეგობრდა რუსეთს. ამისთანაევე მეგობრობა იტალიასა საფრანგეთს შუა დამყარდება, მი- ტრს ეს გარემოება არამც თუ არ შინებს, პირიქით უფროც დაამშვი- ს. როცა მომხსენებელი მაკედონიის ბაზე შეეკითხა, მინისტრმა თავის წინა- ელ სიტყვაში ნათქვამი გაახსენა. როცა ეკითხნენ, შეუძლიან თუ არა მი- ტრს ისეთივე მტკიცე იმედი იქონიოს ბიისა, როგორც წელიწად ნახევარს წი- დაო, გოლუხოვსკიმ უპასუხათ, რომ მას გად არ ესმის ეს. „სერბიასა და ჩვენ შუა თქვა მან,—მაშინაც და ეხლაც კარგი თი-ერთობა არსებობს და რადგანაც ჩვენ ილობთ, რომ ეს ურთი-ერთობა არ ოიცვალოს, ამიტომ უნდა ვფიქრობ- თ, რომ მომავალშიაც ეს მეგობრული თიერთობა დაცულ იქნება; ამას თვით რბიის სარგებლობაც მოითხოვს. მაგრამ ც ერთს მინისტრს არ შეუძლიან წინად- იცოდეს, თუ როგორ მოიქცევა მომა- ში ათასნაირ გარემოებათა შორის რო- იმე სახელმწიფო. ჩვენ ყოველთვის ვეც- ბით კარგი განწყობილება ვიქონიოთ ლა სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ შეხვე- კი არავის შეეხვეწებით“.

ვეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გა- ცხადებულა სახელმწიფო საბჭოს ახალ ლების შესახებ.

11 მაისს იღლესასწაულეს წმ. კირი- ეს და მეთოდის სახსოვრად. ყაზანის ბოროში 2,700 მოსწავლემ შეიყარა თა- ქვე მოვიდა წმ. სინოდის ობერპროკუ- ორი. გარდახდილ იქმნა წირვა მიტროპო- ტ ანტონის მიერ.

ვილნა. დღეს, პანაშვიდის შემდეგ, ღე- ალ-ადიუტანტს ტროცკის წესი აუგეს. ამი გარდაცვალებულისა წაასვენეს ჩერნი- ვის გუბერნიაში, ტროცკის საკუთარ მა- ულში დასაკრძალავად. საყვარელ ღენერ- ის გადაცვალების გამო ყველანი დიდ უხარებას აცხადებენ.

ბერმი. 7 მაისს ცეცხლმა გაანადგურა ფელი ნ..., 500 სახლი დაიწვა, აგრეთვე რი და ოთხფეხი საქონელი; ვერაფერი რ უშველეს. ცეცხლის გაჩენის ადგილზე ბერნატორი მოვიდა. კომიტეტი არსდება დამწვართა დასახმარებლად. მშრალი, ქა- ანი დარია. ბევრგან ტყეც იწვის.

პენზა. ადგილობრი საბჭოს დადგენი- ების ძალით, აკრძალულია პენზაში 20 ბათვემდე ცხენების მოყვანა პეტრეპავლო- ს ბაზარში გასაყიდათ; აგრეთვე აკრძა- ულ იქმნა ბაკებში ცხენების ვაჭრობა; ბვარი ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს გან- უთრებულ მოედნებზე.

ფილიპოპოლი. კონსტანტინეპოლიდამ წყობიან, რომ ოსმალეთის საელჩოს წე- ი პარიზში ნაბი-ბეი, აგრეთვე პირველი, ორე და მესამე მდივანი, ატაშე ამ საელ- სი და ოსმალეთის გენერალ კონსული პარიზში ატყობინებენ ილდიზ-კიოსკს, რომ იძულებულნი იქმნებიან მიემხრნენ ახალგაზდა ოსმალეთის დასს, თუ მათ არ მისცემენ კუთვნილ ჯამაგირს.

პეკინი. ვალდერზეემ გადასდო განზრა- ხული ექსპედიცია, ხოლო პატარა ჯარი გა- გზავნა ავაზაკობის მოსასპობლად. ამავე მიზნით გაგზავნეს მცირე რაზმი ინგლისე- ლებმაც.

პეკინი. ყველა ელჩები, გარდა როკშე- ლისა, თანახმანი არიან შემოსატან გადა- სახადს მოუმატონ ხუთი პროცენტი საქო- ნლის ფასისა.

კაპშტადტი. როგორც იტყობინებიან, ჰაილენდერების ქვეითა პოლკი მოულოდნე- ლად თავს დაესხა მტერს ბრანვორფის ოლქში, გაფანტა იგი, მოკლა 12 ბური, დასჭრა 13 და ტყვედ აიყვანა 12.

საუთგამპტონი. მილნერი ჩამოვიდა სამხრეთ-აფრიკიდან.

მადრიდი. ხმა დადის შესახებ უთანხმო- ებისა საგასტას და მორეს შუა არჩევანზე მომხდარ ინციდენტების გამო. სამინისტ- რო კრიზისს მოსალოდნელად სთვლიან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ფილიფინის კუნძულები. «ფრანკფურ- ტერ ცაიტუნგ»-ის ნიუ-იორკელი კორესპონდენ- ტი ფილიპინის კუნძულების შესახებ იუწყება შემდეგს:

«თუ ფილიპინის კუნძულები ამერიკელმა ჯა- რის კაცმა დაიპყრო, ფილიპინელების გულს კიდე ალბად ამერიკელი სახალხო მასწავლებელი დაიპყრობს. ამერიკის მთავრობა მეტად ცდი- ლობს სერო განათლების გავრცელებას კუნძუ- ლებზე. უკანასკნელ ბიუჯეტში ფილიპინის კუნ- ძულების სკოლებისათვის შარშანდელზე $1^1/_2$ მილიონი დოლარით მეტია დანიშნული; მთავ- რობა აპირობს კუნძულებზე 1000 ახალი სკო- ლა გახსნას, და ამ მოკლე ხანში 1000 მასწა- ვლებელს გაგზავნის ამ სკოლებისათვის. ამას გარდა მანილაში გაიხსნება სამასწავლებლო სე- მინარია და სამრეწველო სკოლა. სკოლებში მკვიდრების ენის გარდა, ინგლისურ ენის სწავ- ლაც ვალდებული იქნება; სწავლას, როგორც თითონ ამერიკაში, აქაც მტკიცე სერო ხასიათი ექნება. ყველა სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვა ნივთები შეგირდებს მუქთად მიეცემათ. კუნძულებიდან მოსული ცნობები ერთხმად წმო- წმობენ, რომ ფილიპინელები მეტად გოტებუ- ლები არიან ამერიკელების ამნაირის გულმოდგი- ნეობით სწავლა განათლების საქმეში. ისინი გაკვირვებით ამბობენ: «არა ჭეგვანან ესპანიელებს; ისინი პირიქით სწავლისა და ეოველი სინათლის დახშობასა ცდილობდნენო».

ინგლისი. მეორე დღეს, 4 მაისს, დეპუ- ტატთა პალატამ დასრულა კამათები სამხედრო პროექტის შესახებ. კამათების შემდეგ მთავრო- ბის პარტიის დიდერმა ბალფურმა იდაპარაკა. ამან პასუხი გასცა ყველა ორატორებს და ბო- ლოს განაცხადა, რომ პალატამ სამხედრო პრო- ექტის მიღებით თავისი ნდობა უნდა დაუმტკი- ცოს სამინისტროსო.

«ყველა მხრიდან ჭკიცხავენ პროექტს,—სთქვა ბალფურმა,—მაგრამ ყველა ორატორები მეტად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ისინი ამბობენ, რომ მაგდენ ჯარის კაცებს ვერ ვიშოვითო, მაგ- რამ ეს დაბრკოლება ნიადაგ იყო, და ჩვენმა პროექტმა ხომ არ დაბადა; პირიქით ჩვენი პრო- ექტი უფრო შეასუსტებს ამ დაბრკოლებას, სა- ნამ გაამძიერებს. ზოგი კიდეე იმ აზრისაა, რომ ინგლისის ძალიერება მხოლოდ ოფლოტზეა დამ- ყარებული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ პალა- ტის უმეტესობა არ დაეთანხმება ამ აზრსა. ყველაზე ს�ში ინგლისათვის იქნება ის ომი, როდესაც უცხოეთის ჯარი ჩვენ ქვე- ყანაში გადმოვა. თუ ჩვენ დავანახვებთ ყველას, რომ ჩვენ ქვეყანაში ჯარის გადმოყვანა ადვილი არაა—ამით ჩვენ ზავის საქმეს მტკიცე საფუძ- ველზე დავაყენებთ. დასასრულ შევნიშნავ, რომ კანონ-პროექტის უარ-ყოფა—იქნება მთავრობი- სა და მთავარ-სარდლის უარყოფა; თქვენ ამის- თანა უარ-ყოფით პალატის ძალას დაამხობთ. გავახსენებ პალატას, რომ პროექტის მოწინააღ- მდეგეებს არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთ- თან, ამიტომ პროექტის უარყოფით პალატა ბორბოტ-მოქმედებას ჩაიდენდა მომავლის წინა- ღმდეგ».

—«ინდენპანდანს ბელგ»-ის კორესპონდენ- ტი იწერება დონდონიდან:

«პოლიტიკურ წრეებში ხმა დადის, რომ ლორდ სოლსბერი მეტად მალე სამსახურიდან გადადგებაო. ეს ხმა ჯერ კიდევ რამდენიმე კვი- რის წინად გავრცელდა, მაგრამ მე მტკიცე სიბუ- თი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს ცნობა ეხლა კი სა- ფუძვლიანია. სამსახურიდან გადადგომის მიზე- ზად ისევ ლორდ სოლსბერის ჯანის სისუსტე მოჰყავთ. 1 მაისს მინისტრების საბჭო შეიკა- რა, რომელსაც ჭქონდა მსჯელობა იმის შესა- ხებ, თუ ვინ დაუნიშნონ სოლსბერის ადგილას პირველ მინისტრად».

—1 მაისს დეპუტატთა პალატამ განიხილა დეპუტატის დიმსდალის მიერ შეტანილი წინა- დადება, რომ დეპუტატს 20 წამზე მეტ ხანს დაპარაკის ნება არა ჭქონდეს. ბევრმა ორა- ტორმა მიიღო მონაწილეობა კამათში. მომე- ტებულად ყველანი წინადადების წინააღმდეგ დაპარაკობდნენ. მთავრობის მხრივ მინისტრმა რიტჩმა იდაპარაკა, მან განაცხადა, რომ დიმს- დალის მიერ ნარჩევი საშუალება ვერ მოიტანს სასურველს ნაყოფსო. როცა დეპუტატი 20 წამზე მეტს იდაპარაკებს, მის გასაჩუმებლად საჭირო იქნება პალატის უმეტესობის დადგენილება, ხოლო ამ გარემოებას ზოგიერთები ადვილად გამოიყენებენ ობსტრუქციის მოსახდენად. ამის შემდეგ პალატა კენჭის ყრას შეუდგა და უარ ჰყო დიმსდალმის წინადადება 117 ხმის უმე- ტესობით წინააღმდეგ 83 ხმისა.

როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამის შემდეგ ბრადრიკის პროექტი პალატამ მიიღო 305 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 163-სა.

—ფრანგ. კაზ. «ეხო დე პარ»-ის დონდო- ნელ კორესპონდენტს საინტერესო ცნობები მოჰყავს ირლანდიელთა გადასახლების შესახებ. 1841 წელს ირლანდიის მცხოვრებთა რიცხვი 8.197,000 იყო, ეხლა კი 4.500,000-მდე დავიდა. ირლანდიელები უფრო და უფრო მი- დიან უცხო ქვეყნებში. ყოველ კვირას ირლან- დიის ნავთ-სადგურებიდან 2000 კაცამდე მი- ემგზავრება ამერიკაში; ესენი სულ ახალგაზ- და ხალხია, სულ 20—30 წლისა. 1855 წ. ირლანდიაში 5.500,000 აკრი მამული იყო შემუშავებული; ეხლა ამ მამულებიდან 1 მი- ლიონ აკრზე მეტი დვთის ანაბრობაზეა თავ- განებებული. ირლანდია თან და თან იდუპება და უდაბურ ქვეყანად იქცევა. საკვირველი ადა- რაა, რომ ირლანდიელები ასე გაბორტებულნი არიან და ასე მტრულად უყურებენ ინგლისის ეხლანდელ მთავრობას.

ესევე კორესპონდენტი იწერება, თუ რა ნაი- რად დაახასიათა ბალფური ირლანდიელმა დე- პუტატმა ოკონორმა. დეპუტატთა პალატაში ოკონორი ამტკიცებდა, რომ ბალფური არ გარ- გა მთავრობის პარტიის ლიდერადო (წინამ- ძღვარადო). შემდეგ ოკონორს უთქვამს: «საცა სამართალია, ბალფური ან გულადმა უნდა იწვეს ერთ ტოტ-გაშლილ ხის ქვეშ, ან არა და ნა- ვით უნდა დასეირნობდეს მდ. ტემზაზე, თო- რემ პოლიტიკური ასპარეზი რა მაგის საქ- მეაო».

სამხრეთ-აფრიკა. თუ რა მტკიცედ აქვთ ბუ- რებს გადწყვეტილი ინგლისელებს ბოლომდე ებრძოლონ,—ეს სჩანს შემდეგი დეპეშიდან, რო- მელიც ბლუმფონტენიდანაა მიღებული:

«ბურების ერთმა უფროსმა მოინდომა ინგლი- სელებთან მოლაპარაკება გაემართა დამორჩილე- ბის თობაზე. იმისი რაზმის ჯარის-კაცებმა, გა- იგეს თუ არა ეს ამბავი, დაუფიქრებლივ უფრო- სობა ჩამოართვეს და საკუთარ ფერმაშიგე დაა- ტუსადეს.

—იტალიაში, ქალ. პავიას უნივერსიტეტის სტუდენტებს ვოლონტიორების რაზმი შეუდგენი- ათ და სამხრეთ-აფრიკაში გაუგზავნიათ ბურების საშველად.

საფრანგეთი. ეხლანდელი რესპუბლიკის მტრებმა ხელმეორედ დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა. ეხლა ორლეანისტებმაც გაიმაგრეს მთავრობის წინააღმდეგ. პარიზში უცებ გაჩნდა გრაფ დიურ-სალიუსი, რომელიც ერთ ადამა- ნა და ბიუფესთან ერთად კახელეთი იყო სამ- რანგეთიდან. როცა სალონ-ბურბონ, დიურ-სა- ლიუსი გაიქცა საფრანგეთიდან. ეხლა კი უცებ დაბრუნდა. გაზეთები ირწმუნებიან, რომ ის ორლეანის ჭერცოგის ბრძანებით დაბრუნდა პა- რიზშიო. ის თავის ნებით ეძლევა მთავრობას ხელში, რათა სენატი აიძულოს ხელმეორედ დაიწყოს სახელმწიფო დალატის თობაზე საქმის გარჩევა და ამით დაუშალოს სენატს კონგრეგაციების შესახებ კანონის განხილვა. დიურ-სალიუსმა წერილით მიჭმართა რესპუბ- ლიკის პრეზიდენტს და სთხოვა, რომ მისი საქმე უმაღლესი სასამართლოს მიერ საჯაროდ იყოს განხილული. ამისთანავე წერილები შინა- გან საქმეთა მინისტრს და მინისტრ-პრეზი- დენტსაც გაუგზავნა. გაზ. «გოლოს» ირწმუ- ნება, რომ მინისტრებს რამდენჯერმე თითბირი ჭქონდათ იმის შესახებ, თუ როგორ მოგექცეთ დიურ-სალიუსსაო, და ვითომ მინისტრები მე- ტად არიან შეწუხებულნიო. ეოველ შემთხვევა- ში, დიურ-სალიუსი ჯერ დატუსადებული არაა.

ახალი ამბავი

✦ ორშაბათს, 14 მაისს, მათ უდიდებუ- ლესობათა გვირგვინის კურთხევის დღეს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და სამადლობელი პარაკლისი. წირვა დაიწყება დილის 9 საათ- ზედ.

✦ პარასკევს, 11 მაისს, მოხდა სადღე- სასწაულო სხდომა რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა. ეს სხდომა, რომელსაც თავმჯდო- მარეობდა გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, დანი- შნული იყო განყოფილების 50 წლის არ- სებობის აღსანიშნავად. სხდომაზედ წაკით- ხულ იქმნა მოლოცვის დეპეშები და ადრე- სები, რომლებიც განყოფილებას მოუვიდა იუბილეის გამო.

✦ კავკასიის მთავარმართებელმა თ. გო- ლიცინმა დაამტკიცა ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობაზედ ახლად არჩეული დ. ა. ლორთქიფანიძე.

✦ როგორც გავიგეთ, „ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმა- რებელ საზოგადოების“ კომიტეტს გადაუწ- ყვეტია, თავის წესდების მიხედვით, გააფა- რთოვოს ქართველ სტუდენტების დახმარების საქმე. კომიტეტს მიუნდვია თავის წევრის გ. დ. ჟურულისათვის წარუდგინოს კომი- ტეტს ამ საქმის გაფართოვებისა და მოწეს- რიგების შესახებ თავისი მოხსენებანი. სა- სიამოვნოა, რომ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ამ საჭირო საქმეში; ვისურვოთ მისი კეთილად დაბოლოვება.

✦ კვირას, 3 ივნისს, დანიშნულია ქარ- თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელე- ბელის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

✦ ტფ. გუბერნატორმა გაუგზავნა შინა- გან საქმეთა სამინისტროს „ჰელიოსის“ სა- ზოგადოების პროექტი ტფილისის ელექ- ტრონით განათების შესახებ. პროექტს თან ახლავს ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის უწ- ყების აზრი, რომელიც წინააღმდეგია იმი- სა, რომ განათებისათვის მავთულები ჰაერ- ში გაიყვანონ და თხოულობს მიწის ქვეშ იქმნან ისინი, რათა ტელეფონისა და ტე- ლეგრაფის მავთულებს არ ავნონ.

✦ ქუთაისის ქალთა საეპარქიო სას- წავლებელს მთავრობისაგან განმარტება მო- უვიდა, რომ 1-ლ კლასში შეუძლიან მიიღონ თერთმეტი წლის მოწაფეები და უმცროსე- ბი.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს გან- კარგულება მოუხდენია, რომ ამიერიდან სახაზინო ტყის მცველებად (объѣздчикъ) მიღებულ იქმნან უთუოდ რუსულის ენის მცოდნენი, რათა მათ შეეძლოთ საჭირო ოქმების შედგენა.

✦ **ლომბარდის** ანგარიშიდან სჩანს, რომ გასულ წელს მას დარჩენია 6650 მან. მოგება; აქედან სახელმწიფო გადასახალი წასულა 265 მანეთამდე; დანარჩენი ფული, წესდების თანახმად, ასე გაუნაწილებიათ: 4350 მან. გადაიდება პირველ დაწყებით სწავლის გაძლიერებისათვის, ხოლო 2145 მან. ღამის თავ-შესაფარების სასარგებლოდ.

✦ პარასკევს, 11 მაისს, საღამოს 8 საათზე, შესდგა **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება** საზოგადოების ვიცე პრეზიდენტის უ. თავ. პ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით. კრებას განსახილველად წარედგინა პირველად მოხსენება სასტატისტიკო ბიუროს შესახებ. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისის სათავადაზნაურო ბანკმა სასტატისტიკო ბიუროს ყოველ წლობით 1000 მან. აღუთქვა, მაგრამ ამასთანავე მოითხოვა, რომ 1) გადადებული ფული ბიუროს მოეხმარა ჯერ-ჯერობით მარტო ტფილისის გუბერნიაში სასტატისტიკო ცნობების შესაკრებად, 2) წლის ბოლოს ანგარიში წარედგინა ბანკისათვის და 3) ბიუროში სათავად-აზნაურო ბანკის 2 წარმომადგენელი ყოფილიყო. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შესაძლებლად სცნო ბანკის გამგეობის წინადადების მიღება. კრებაზე ამ საგნის გამო გამოწვეულმა კამათმა გასტანა ღამის $11^1/_2$ საათამდე. ბოლოს ხმის უმეტესობით კრებამ გადასწყვიტა მიღებულ იქმნეს ბანკის გამგეობის წინადადება. რადგანაც სამეურნეო საზოგადოების წარსული წლის ანგარიში ჯერ არ წარუდგენიათ განსახილველად სამეურნეო საზოგადოების წევრთათვის, ამ კრებამ შეუძლებლად დაინახა საზოგადოების ამა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. კრება ღამის 12 საათზე გათავდა.

ამავე კრებაზე ამორჩეულ იქმნენ სამეურნეო საზოგადოების საფასით დაარსებულ **„სამეურნეო კაზეთის“ სარედაქციო კომისიის** წევრებად შემდეგნი პირნი—ბ-ნი სააკოვი, ი. ალიბეგოვი, ქანანოვი, დანდუროვი და როტინოვი.

✦ ტფ. გუბ. საქალაქო საქმეთა საკრებულომ **წინადადება** გაუგზავნა **ტფ. ქალაქის მმართველობას**—ამიერიდან დროზე წარმოადგინოს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და ამასთანავე თხოულობს იმის ახსნას, თუ რატომ იქმნა გვიან წარმოდგენილი 1901 წლის აღრიცხვა?

✦ **კადასახადი.** რომელიც დაწესდა ტფილისში **მაღლებზე**, ძალაში შევა ივნისის პირველიდან, რადგანაც ჯერ ყველა სახლის პატრონებისათვის არ გაუგზავნია გამგეობას გადასახადის ფურცლები.

✦ სამეურნეო საზოგადოების სადგომში პარასკევს, 11 მაისს, სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს მოაწყოს მომავალ საიუბილეო გამოფენაზე **ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა პავილიონი.** კომისიამ დაადგინა ააშენოს განსაკუთრებული პავილიონი, ხოლო ის ფული, რომელიც საჭირო იქმნება პავილიონის გასამართავად, გაეწეროს ყველა იმ პირებს, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ხელნებულ დარგის გამოფენაში. თუ რა დაჯდება პავილიონი, კომისია განიხილავს შემდეგს სხდომაზე.

✦ ჩვენ ამას წინად მოყვანილი გვქონდა ამბათ, რომ „სპიროს“ ფირმა თხოულობს ნება მიეცეს მას საცდელად გაანათოს, მომავალ გამოფენის დროს, ვერის ხიდი, კიროჩნაია და მიხეილის ქუჩა **„კაშინგტონის“ სისტემის ლამპებით.** გამგეობამ ეს თხოვნა გადასცა განსახილველად ქალაქის ინჟენერს ენფიაჯიანცს. სხვათა შორის განზრახულია განათების ხარჯში მონაწილეობა მიაღებინონ ვერის ხიდის მოიჯარადრეს ბ. მამინაიშვილს, რადგანაც განათებულ ხიდზე ეტლების მიმოსვლა გაძლიერდებაო.

✦ 12 მაისს, ნაშუადღევის მესამე საათზე, ვიღაც **ბორჯტ-განმზრახველნი დაეცნენ რკინის გზის სადგურის კასსას,** რომელიც იმყოფება სარდაფში, გამოსტეხეს რკინის ხარიხა, გააღეს ნახევარი ფანჯარა და რომ უნდა გადამძვრალიყვნენ, ამ დროს ჟანდარმებმა დაუშინეს რევოლვერები. ჟანდარმები თურმე გაფრთხილებულნი ყოფილან და აგერ ერთი კვირაა სასტიკად ჰყარაულობდენ. ჟანდარმებმა რევოლვერით ერთი ბოროტ განმზრახველთაგანი მოჰკლეს, ორი კი დიდუბისაკენ გაიქცა. გამოუდგენ, მაგრამ ქურდები მიიმარნენ და ველარ იპოვეს. მოკლული ქურდი ახალგაზდა არის, 18 ან 19 წლის ბიჭი, ფეხშიშველი, ჭუჭყიან და წითელ პერანგით, ბლუზით და ძველი შარვალით. იარაღი მიცვალებულთან არავითარი არ აღმოჩნდა. მისი ვინაობაც ჯერ არ იციან. წაღებული არაფერი არ არის.

✦ სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასების ანგარიშიდან სჩანს, რომ 1890 წლისათვის კასსებში ჰქონიათ **მიბარებული ფული:** ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთ 7,7 მილიონი მან., ბაქოს გუბერნიის—4,6 მილ. მ., ქუთაისისა—2,9 მილ. მან., ერევნის—2 მილ. მან., განჯის—1,2 მილ. მან., დაღესტნის ოლქის—0,8 მილ. მან. და ყარსის ოლქისა—0,4 მილ. მანეთი.

✦ **მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის** შემეკეთებელი კომიტეტი ადგენს ამ ტაძრის საარქეოლოგო—საისტორიო აღწერას, რომელიც უნდა გამოვიდეს მომავალ ენკენისთვეში. წიგნი დასურათებული იქნება და დაჯდება 5 ათას მანეთამდე.

✦ შაბათს, 12 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, პოლიციის მოხელეს მიუყვანია პოლიციის მე-5 ნაწილში ეტლით სამი დაჭრილა კაცი—ტფილისის მოქალაქენი მიხეილ პოპაშვილი, ალექსანდრე შავლიაშვილი და გრიგოლ ასტვაცატუროვი; როგორც გამორკვეულა, ისინი საქეიფოდ ყოფილან გოზალოვის დუქანში, სადაც რაღაც მიზეზისა გამო ატეხილ აყალ-მაყალის დროს ასტვაცატუროვს უძვრია დანა და დაუჭრია პოპაშვილი და შავლიაშვილიც; პოპაშვილი დაუჭრია მძიმედ მუცელში და სხვა ადგილასაც და ხოლო შავლიაშვილი უფრო ცოტად დაუჭრია. იქვე მდგომი გეორგი ბაბილაძე ისე გამწარებულა ამ გარემოებით, რომ მივარდნია ასტვატატუროვს, წაურთმევია დანა და თვით იგი დაუჭრია. დაშავებულნი პოპიაშვილი, შავლიაშეილი და ასტვაცატუროვი მიხეილის სამკურნალოში იქმნენ გაგზავნილნი შემწეობის აღმოსაჩენად. გამოძიება სწარმოებს.

პროვინცია

ბათუმი. ამას წინად გაცნობებდით იმის ამბავს, თუ რაგორ გადაქცეულ ქალაქის რეზერვუარიდან წყალი რიდსკის მემკვიდრეთა ნავთის ქვაბების გასასინჯავად. ამაზედ დანიშნულმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამგვარივე ამბებს სხადიოდნენ თურმე სხვა ნავთის ქარხნებიც: საგზირაებისამებრ ისინი ქაჩავდნენ წყალს არა იმისთვის დანიშნულ მიდებით, არამედ იმ მიდების საშუალებით, რომლებითაც შეუძლიათ წყალი ახმარონ მხოლოდ ქარხანაში ცეცხლის გაჩენის დროს. ამით ჩვენი მიდიონერები თურმე თავის მიდიონებს ადარ ჯერდებოდნენ და ქალაქის კასსას სტინცლავდნენ მანეთებს. ამ ხანად ქალაქის გამგეობისაგან მიდებულია ზომები, რომ ამგვარ შეთხვევისაგან უზრუნველ ეყოფილი იქმნას. რაც შეეხება რიდსკის მემკვიდრეთ, მათ შეიტანეს ქალაქის კასსაში გადაქაჩული წყლის ფასად გაცილებით მეტი ფული, ვიდრე ქალაქს ერგებოდა, ოდონდ კი საქმე არ გახმაურებულიეო უფრო და ბრალიც თავიანთ მოსამსახურეებს დასდვეს, ასეთ სირცხვილში რომ ჩავარდნენ.

ამ ხანად ქალაქში მუშაობს კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ქალაქის ელექტრონით გასანათებლად დამთავრებული მოწყობილება; მესამე დღეა, რაც კომისია მუშაობაშია და რადგანაც მტკიცედ ეკიდებიან კომისიის წევრნი თავიანთ მოვალეობას, ეტყობა კიდევ რამდენამე დღე გასტანს. ჟ.

პრესა

ამიერ-კავკასიისა და რუსეთის შეერთება მოკლე რკინის გზით კარგა ხანია ცნობილია უსაჭიროეს საქმედ. ამ გვარ **გზის** გაკეთებას მოითხოვენ როგორც რუსეთის შიდა გუბერნიების, ისე კავკასიის ინტერესებიც. ამიტომაც უკვე რამდენიმე **პროექტი** არსებობს, მაგრამ ჯერ არც ერთის განხორციელება არ არის გარდაწყვეტილი. „პეტერბურგ. ვედომოსტ.“-ი უბრუნდებიან ამ საკითხს და წინ აყენებენ ერთ-ერთ **პროექტს,** რომელიც უკვე 1876 წელს ყოფილა შემუშავებული. ამ **პროექტით,** შეერთებულ უნდა იქმნან კავკავისა და და ამიერ-კავკასიის რკინის გზები, სახელდობრ, სადგურები—დარგკოხი (ვლადიკავკ. რკ. გ.) და გორი (ამიერ-კავკ. რკ. გ.). ამ მიმართულების დამცველად გამოდის ლეიტენანტი ნ. ფ. ფილკოვიჩი, რომლის აზრით, ეს მიმართულება ყველა მხრით მოსაწონია. გაზეთის სიტყვით,

„ფილკოვიჩი ამ მიმართულების უპირატესობას უწინარეს ყოვლისა იმაში ჰხედავს, რომ ეს გზა ყველა სხვა **პროექტების** გზებზე უფრო მოკლეა: დარგკოხიდან გორამდე სულ 184 ვერსტია; მეორე უპირატესობა—ეს გზა ძალიან იაფად დაჯდება: 25, 454, 502 მან, ესეც იმ შემთხვევაში, თუ ორპირი ლიანდაგი იქმნა დაფენილი. ისიც მისაღებია სახელმწიფო, ამბობს ფილკოვიჩი, რომ ამ გზის გაკეთება 4 წლის განმავლობაში შეიძლება“.

შემდეგ ფილკოვიჩი დაწვრილებით იხილავს ამ მიმართულების უპირატესობათ სამხედრო და სავაჭრო-სამრეწველო მხარეთა მიხედვით და ჰპოვებს, რომ ამ მხარეთა მიხედვითაც ხსენებული **პროექტი** სჯობია სხვებს. სამხედრო უწყებისათვის ეს გზა იმით არის კარგიო, რომ მეტად მოკლეა და მალე შეიძლება გადავზიდოთ ჯარები ოსმალეთის საზღვარზე და გარდა ამისა მტერი ვერას დაიკლებს მას, რადგანაც ქვეყნის შუაგულში გაივლის და არა ზღვის პირას, როგორც, მაგალითად, ნევინომისკის მიმართულების გზაო. ხოლო ეკონომიური მნიშვნელობა დარგკოხ-გორის გზისა დიდი იქნებაო. ფილკოვიჩის აზრით, ამ გზას მიაწყდება აუარებელი საქონელი: ნავთი გროზნოდან, სამთო მადნეულობა კავკასიის მთებიდან, პური და სიმინდი ჩრდილოეთ და ამიერ-კავკასიიდან და სხვა. სულ მცირე ანგარიშით, ამ გზით გადატანილ იქნება 115.000.000 ფუთი საქონელი, რაც ამ გზას მისცემს დიდს შემოსავალს და მრავალ მცხოვრებთ გაუცხოველებს ეკონომიურს მოღვაწეობასო.

ჩვენ არ შეეუდგებით ფილკოვიჩის მოსაზრებათა განხილვა-კრიტიკას; ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს საკითხი მეტად რთულია და ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა აიწონ-დაიწონოს ყოველივე მხარე. ბევრი იმ უპირატესობათაგანი, მაგალითად, რომელიც ჩამოთვლილი აქვს ფილკოვიჩს უფრო მეტად ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომლით გზამ უნდა გადასჭრას რაჭა და შეუერთდეს ამიერ კავკასიის რკინის გზას ქუთაისში. ამიტომაც, თუმცა მართალია, რომ ბევრი ყოყმანი არ ვარგა და საქმეს დაჩქარება უნდა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ვაი თუ მეტის მეტმა დაჩქარებამ, როგორც ფილკოვიჩი ურჩევს ვისაც ჯერ არს, საქმე უხეიროდ გადასწყვიტოს?!.

სასამართლო

გუშინ, 12 მაისს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის მე-15 გრენადერთა პოლკის პორუჩიკის ივანე ალექსეევისა, რომელსაც ფოსტა-ტელეგრაფის ტეხნიკოსის ივანოვის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, ამ საქმის გარემოება შემდეგია: 23 მარტს ბრალდებული ალექსეევი ყოფილა შტაბს-კაპიტან სამოილოვსა, პორუჩიკის ტემნიკოვისა, ტეხნიკოსის ივანოვისა და პოკროვსკისთან ერთად ტფილისის კრუჟოკში, საიდგანაც აღნიშნულნი პირნი წასულან ვერაზედ „ედემის“ ბაღში. აქ მათ მოუთხოვიათ სუფრის გამართვა და შუა სმაში როცა ყოფილან, ტეხნიკოს ივანოვს აუღია ჭიქა და ტფილისის პოლკის სადღეგრძელო წარმოუთქვამს, ამასთან დაუმატებია, თუმცა ეს კამპანია არ მომწონსო. ამაზედ შტაბს-კაპიტანს სამოილოვს უთქვამს, თუ არ მოგწონთ შეგიძლიანთ აქედგან წახვიდეთო. ივანოვი ამ სიტყვების შემდეგ ცოტა ადგილზე გამ[illegible]ერა და მერე მოურბენია ისევ სტოლთან, [illegible] უვლია სკამისათვის ხელი, ჯერ ეაურ[illegible] სტოლზედ და [illegible] [illegible] სტაქანი, მერე [illegible] [illegible] [illegible]